

სს „აქატი“
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. შესავალი	10
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	10
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები	22
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები	24
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	27
7. საინვესტიციო ქონება	28
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	29
9. ფული და ფულის ექვივალენტები	30
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30
11. საგადასახადო აქტივები	30
12. სააქციო კაპიტალი	30
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
14. მოკლევადიანი სესხები	31
15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	31
16. შემოსავალი	31
17. მომსახურების ხარჯები	31
18. საგადასახადო ხარჯი	31
19. სხვა საოპერაციო ხარჯები	31
20. კომუნალური ხარჯები, წმინდა	32
21. ფინანსური რისკების მართვა	32
22. დაკავშირებული მხარეები	33
23. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	34
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „აქატი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს სს „აქატის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სს „აქატის“ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში აღწერილი საკითხის მნიშვნელოვნების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საინვესტიციო ქონების გაქირავებასთან. ეს ქონება წარმოადგენს კომპანიის ძირითად აქტივს და შემოსავლის ერთადერთ წყაროს. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნაშია განმარტებული, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია 116,115 ლარით. ქონების აღიარება მოხდა 1996 წელს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად. 6 სართულიან საინვესტიციო ქონებაში განთავსებულია უნივერსიტეტი, რომელსაც ჩატარებული აქვს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები აღნიშნულ ქონებაზე. კომპანიის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციით ჩვენ ვერ დავადასტურეთ ისტორიული ღირებულება, ასევე კომპანიას არ მოუხდენია რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაშიფვრა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არც ის მიზეზები განუმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს-40-ის შესაბამისად. შედეგად, არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებზე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, უნდა აღიარებულიყო თუ არა ერთ-ერთი აქციონერისგან ჩარიცხული თანხები, როგორც მოკელვადინი სასესხო ვალდებულება, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებით 131,957 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ კომპანიამ განახორციელა წინა პერიოდის ანგარიშგების შესწორება. ჩვენ არ დავუნიშნით კომპანიას 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაზე, სადაც წარმოდგენილია კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციებისა და ნაშთების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 26 სექტემბერს გასცა პირობითი დასკვნა, იმის გამო, რომ წილობრივი ინსტრუმენტი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული იყო, ფასს-ისგან გადახვევით, თვითღირებულებით, ნაცვლად რეალური ღირებულებისა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ სს „აქატის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

„ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

2019 წლის 16 ივლისი

თბილისი, საქართველო

„ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

2019 წლის 16 ივლისი

თბილისი, საქართველო



Closer to you

სს „აქატი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 *გადაანგარიშებული	1 იანვარი 2017 *გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	7	116,890	123,001	129,434
ძირითადი საშუალებები	8	1,302	1,627	2,034
არამატერიალური აქტივები	8	865	1,051	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	15	-	-	81,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		119,057	125,679	212,468
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	5,573	10,665	1,212
გაცემული სესხები		-	1,500	1,500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	422,139	367,993	311,496
მარაგები		-	-	59,739
საგადასახადო აქტივები	11	22,819	-	1,552
სულ მოკლევადიანი აქტივები		450,531	380,158	375,499
სულ აქტივები		569,588	505,837	587,967
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	12	370,817	370,817	370,817
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		28,568	(5,082)	86,457
სულ კაპიტალი		399,385	365,735	457,274
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	38,246	7,155	20,033
მოკლევადიანი სესხები	14	131,957	131,957	110,660
საგადასახადო ვალდებულებები		-	990	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		170,203	140,102	130,693
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		569,588	505,837	587,967

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერილი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 *გადაანგარიშებული	1 იანვარი 2017 *გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	7	116,890	123,001	129,434
ძირითადი საშუალებები	8	1,302	1,627	2,034
არამატერიალური აქტივები	8	865	1,051	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	15	-	-	81,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		119,057	125,679	212,468
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	5,573	10,665	1,212
გაცემული სესხები		-	1,500	1,500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	422,139	367,993	311,496
მარაგები		-	-	59,739
საგადასახადო აქტივები	11	22,819	-	1,552
სულ მოკლევადიანი აქტივები		450,531	380,158	375,499
სულ აქტივები		569,588	505,837	587,967
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	12	370,817	370,817	370,817
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		28,568	(5,082)	86,457
სულ კაპიტალი		399,385	365,735	457,274
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	38,246	7,155	20,033
მოკლევადიანი სესხები	14	131,957	131,957	110,660
საგადასახადო ვალდებულებები		-	990	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		170,203	140,102	130,693
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		569,588	505,837	587,967

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერილი პირები:

ლენა ბარამიძე

დირექტორი



ეთერ ექიზაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2018	2017 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	16	146,269	238,020
შრომის ანაზღაურება		(32,125)	(31,050)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	10	(46,368)	(69,051)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7, 8	(6,622)	(7,026)
კომუნალური ხარჯები, წმინდა	20	(206)	(21,898)
მომსახურების ხარჯები	17	(16,294)	(55,016)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	18	(4,997)	(4,677)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(6,007)	(102)
საოპერაციო მოგება		33,650	49,200
მარაგების ჩამოწერის ხარჯი		-	(59,739)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	15	-	(81,000)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		33,650	(91,539)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		33,650	(91,539)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		33,650	(91,539)
შემოსავალი/(ზარალი) ერთ აქციაზე		0.11	(0.31)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2018	2017 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	16	146,269	167,132
შრომის ანაზღაურება		(32,125)	(31,050)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	10	(46,368)	(69,051)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7, 8	(6,622)	(7,026)
კომუნალური ხარჯები, წმინდა	20	(206)	48,990
მომსახურების ხარჯები	17	(16,294)	(55,016)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	18	(4,997)	(4,677)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(6,007)	(102)
საოპერაციო მოგება		33,650	49,200
მარაგების ჩამოწერის ხარჯი		-	(59,739)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	15	-	(81,000)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		33,650	(91,539)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		33,650	(91,539)
სხვა სრული შემოსავლი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		33,650	(91,539)
შემოსავალი/(ზარალი) ერთ აქციაზე		0.11	(0.31)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერილი პირები:

ლენა ბარამიძე

დირექტორი



ეთერ ექიზაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 11)	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2017	370,817	86,457	457,274
*გადაანგარიშებული			
წლის სრული შემოსავალი	-	(91,539)	(91,539)
31 დეკემბერი 2017	370,817	(5,082)	365,735
*გადაანგარიშებული			
წლის სრული შემოსავალი	-	33,650	33,650
31 დეკემბერი 2018	370,817	28,568	399,385

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერილი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2018	2017 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	160,406	142,084
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(134,690)	(124,820)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	25,716	17,264
გადახდილი გადასახადები	(32,308)	(26,967)
გადახდილი დივიდენდები	-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,592)	(9,703)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(2,140)
მიღებული პროცენტები	1,500	-
საინვესტიციო საქმიანობისაგან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	1,500	(2,140)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	21,297
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-	21,297
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება/(ზრდა)	(5,092)	9,454
ფულადი სახსრები და მათი წლის დასაწყისისათვის	10,665	1,211
ფულადი სახსრები და მათი წლის ბოლოსათვის	5,573	10,665

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

სს „აქატი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2018	2017 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	160,406	142,084
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(134,390)	(124,820)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	26,016	17,264
გადახდილი გადასახადები	(32,308)	(26,967)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,292)	(9,703)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(2,140)
მიღებული პროცენტები	1,500	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	1,500	(2,140)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	21,297
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-	21,297
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ ზრდა	(4,792)	9,454
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	10,665	1,211
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	5,873	10,665

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ. იხილეთ შენიშვნა 6.

ხელმოწერი პირები:

ლენა ბარამიძე



ეთერ ექიზაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-35 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „აქატი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 1995 წლის 29 მაისიდან. „აქატი“-ს იურიდიული-სამართლობითი ფორმაა სააქციო საზოგადოება, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს მარეგულირებელი ორგანოს, კერძოდ საქართველოს ეროვნული ბანკის, რეგულირების ქვეშ და მისი აქციები რეგისტრირებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქ. № 73. კომპანიის ძირითად საქმიანობას ისტორიულად წარმოადგენდა აქატის ქვის წარმოება, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში კომპანია დაკავებულია საინვესტიციო ქონების უნივერსიტეტზე გაქირავებით. კომპანიას შეუძლია საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გამოშვებული აქვს 1 აშშ დოლარი ნომინალური ღირებულების 294,767 ცალი ჩვეულებრივი აქცია (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 294,767 ცალი ჩვეულებრივი აქცია). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქციონერებს წარმოადგენს 110 ფიზიკური პირი. აქციონერები, რომლებიც ფლობენ გამოშვებული აქციების 5 %-ს ან მეტს, არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

აქციონერები	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	აქციების რაოდენობა	წილი (%)	აქციების რაოდენობა	წილი (%)
ვალევი აჰმედ	132,752	45%	132,752	45%
წივწივადე ვახტანგ	116,836	40%	116,836	40%
სხვა წვრილი აქციონერები	45,179	15%	45,179	15%
სულ	294,767	100%	294,767	100%

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს მზარდი ბაზრისათვის დამახასიათებელ გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც გულისხმობს: ვალუტის არსებობას, რომელიც არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ბევრ ქვეყანაში საქართველოს ფარგლებს გარეთ, შედარებით მაღალია ინფლაცია და ძლიერია ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის

2. კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის, უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაფასდება სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.0701	3.1044	2.7940

საშუალო შეწონილი კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2018	2017
1 USD/GEL	2.5345	2.5086
1 EUR/GEL	2.9913	2.8322

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, აქტივების ოდენობა, მათ შორის 6 სართულიანი საინვესტიციო ქონების ფართობი, დაგროვილი მოგების ოდენობა, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას ფუნქციონირება განაგრძოს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუნერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის. კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 - მ ჩაანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს,

თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

ა) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-ის საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომამ.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია შენიშვნა 10-ში.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ასეთ შემთხვევაში ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს გაცემული სესხების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- 1) ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.
- 2) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას); მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ბიზნეს მოდელის შესაფასებლად.

ბიზნესმოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას. „ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია აფასებდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდებოდა. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებლად მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა რაიმე მოვლენით (ან მოვლენებით) გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც (რომლებიც) დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის შემთხვევა (ან შემთხვევებს) გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა საწრმოუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელი იყო. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო იმის ნიშნები, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდიდა მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არ იხდიდა ან აგვიანებდა სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდას, არსებობდა გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცელებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების ნიშანი ასევე არის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. კომპანია მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში კოლექტიურად აფასებდა, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდებოდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, ხდებოდა ზარალის ოდენობის დაანგარიშება, რაც წარმოადგენდა სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (ჯერ არ მომხდარი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) დადისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისთვის სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და ინვესტიციის ღირებულებას შორის. აქტივის ღირებულება მცირდებოდა და ზარალი აისახებოდა მოგება ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით შემცირებულ ძირზე, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენებოდა გაუფასურების ზარალის ოდენობის დასათვლელად სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

უიმედო აქტივები ჩამოიწერებოდა გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან და ხდებოდა უზრუნველყოფების რეალიზაცია ან კომპანიისათვის გადაცემა. თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდებოდა და ეს შემცირება ობიექტურად უკავშირდებოდა გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მოგება ზარალის ანგარიშში, გარდა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ინვესტიციებისა, რომელთა შემთხვევაშიც სამართლიან ღირებულებაში ზრდა გაუფასურების შემდეგ აღიარდებოდა სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებოდა კომპანიის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემის მიხედვით, რაც მოიცავდა საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა აქტივის სახეობა, ინდუსტრია, უზრუნველყოფილი საგნის სახეობა, ვადაგადაცემის სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალის გამოცდილება დაკორექტირდა არსებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, რათა აესახა დღევანდელი

პირობების ეფექტი, რომელიც არ მოქმედებდა იმ წლებზე, საიდანაც მიღებულია ისტორიული ზარალის გამოცდილება და უგულებელყოფილიყო წინა პერიოდში არსებული იმ პირობების ეფექტი, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე შესაბამის ემპირიულ მონაცემებში მომხდარ ცვლილებებს (როგორიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში განცდილი ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელი იყო).

რეგულარულად ხდებოდა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირებულიყო სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. 2018 წლის 1 იანვრიდან კი ბასს 39 ჩანაცვლდა ფასს 9-ით.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 10-ში

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება აღირიცხება მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებისა და საინვესტიციო ქონების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა ან/და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში კლებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები (საინვესტიციო ქონება)	5%
მანქანა-დანადგარი (ძირითადი საშუალება)	5%
ოფისის აღჭურვილობა (ძირითადი საშუალება)	20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

კომპანია გეგმავს შეცვალოს საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ: თვითღირებულების მოდელიდან გადავიდეს რეალური ღირებულების მოდელზე. აღნიშნულ ცვლილებას კომპანია გეგმავს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 7-ში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველა ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ ადგილმდებარეობასთან და მდგომარეობასთან. მაგალითად, სატრანსპორტო ღირებულება, იმპორტის გადასახადი და სხვა პირდაპირ მიეკუთვნებადი ხარჯები. მარაგების შეფასებისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან ან საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისთვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას; ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდი, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა. მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის გაწევა თანამშრომლების მიერ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის წესდებით. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 12-ში. შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS) გაიანგარიშება წლის სრული შემოსავლის გაყოფით წლის განმავლობაში გამოშვებული აქციების საშუალო რაოდენობაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი: გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც ფასს 9 - ის, ასევე ბასს 39 - ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების, ასევე უზრუნველყოფის საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზი ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები (გაგრძელება)

რეზერვის სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას. კომპანია ასევე ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნიდან ამოღებად თანხას ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლითაც ამცირებს რეზერვის მოცულობას. 2018 და 2017 წელს აღიარებული გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 10 - ში.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვეყნებში დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის: კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები: კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები, აქტივებში განვითარებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 7 - ში, ხელმძღვანელობას არ შეუფასებია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა აპირებს შეფასების განხორციელებას 2019 წლის განმავლობაში.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

IASB-ს მიერ ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან

IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

- o IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.
- o ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.
- o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს, კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.
- o ჰეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით, ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არაფინანსური რისკების საფრთხეების ჰეჯირებისას.
- o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან.
- IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა),

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

- IFRS 2 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (გამოცემული 2016 წლის ივნისში) - ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტიულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.
- IAS 40 საინვესტიციო ქონება (გამოცემული 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ის ცვლის 57 მუხლს და აცხადებს, რომ კომპანიამ უნდა დააკლასიფიციროს აქტივი, როგორც საინვესტიციო ქონება ან შეწყვიტოს აქტივის საინვესტიო ქონებად კლასიფიცირება, მხოლოდ მაშინ, როდესაც არის მტკიცებულება მოხმარების ცვლილების. ქონების მოხმარების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც აქტივი აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების დეფინიციას. ხელმძღვანელობის მიზნის ცვლილება გამოიყენოს აქტივი სხვა დანიშნულებით არ ნიშნავს აქტივის იმის მტკიცებულებას, რომ აქტივის მოხმარების მიზანი შეცვლილია.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

- ფასს 1 სტანდარტების პირველადი გამოყენება (განახლება გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან, აუქმებს მოკლევადიან გამონაკლისს E3-E7 მუხლებში ფასს 1 სტანდარტს.
- ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (განახლება გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტი განმარტავს, რომ ინვესტიცია ისეთ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში რომელიც წარმოადგენს სარისკო კაპიტალის ორგანიზაციას, ან სხვა საპაიო საწარმოს, შესაძლოა აღირცხვლი იყოს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალიდან, საწყისი აღიარების დროს.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ის მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან. ხელმძღვანელობა მოელის, რომ IFRS 16 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.
- ფასს 17 მოითხოვს სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებას მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უფრო ერთგვაროვან შეფასებას და პრეზენტაციას ყველა სადაზღვევო კონტრაქტის. ეს მოთხოვნები არის იმისთვის, რომ მიღწეული იყოს უფრო თანმიმდევრული, პრინციპებზე დამოკიდებული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტების. IFRS 17 ჩაანაცვლებს IFRS 4_ს სადაზღვევო კონტრაქტებისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან.

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

1 იანვარი 2017	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	5,775	(3,741)	2,034
საინვესტიციო ქონება	118,949	10,485	129,434
საწესდებო კაპიტალი	(368,631)	(2,186)	(370,817)
გაუნაწილებელი მოგება	(462,616)	376,159	(86,457)
31 დეკემბერი 2017	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	5,363	(3,736)	1,627
საინვესტიციო ქონება	113,001	10,000	123,001
მოკლევადიანი ინვესტიციები	81,000	(81,000)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	769,517	(401,524)	367,993
საწესდებო კაპიტალი	(368,631)	(2,186)	(370,817)
გაუნაწილებელი მოგება	(473,364)	478,446	5,082

ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

2017	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
შემოსავალი	196,530	41,490	238,020
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-	(69,051)	(69,051)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(7,121)	95	(7,026)
კომუნალური ხარჯები, წმინდა	-	(21,898)	(21,898)
მომსახურების ხარჯები	(54,441)	(575)	(55,016)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	(81,000)	(81,000)

სს „აქატი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება	მიწა და შენობა-ნაგებობები
თვითღირებულება	
1 იანვარი 2017	398,441
შეძენა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2017	398,441
შეძენა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2018	398,441
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი 2017	269,007
წლის ცვეთის დარიცხვა	6,433
31 დეკემბერი 2017	275,440
წლის ცვეთის დარიცხვა	6,111
31 დეკემბერი 2018	281,551
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2017	129,434
31 დეკემბერი 2017	123,001
31 დეკემბერი 2018	116,890

საინვესტიციო ქონება შეადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობას (5,743.7 კვ.მ) მიწასთან (5,170 კვ.მ) ერთად. აღნიშნულ შენობაში განთავსებულია უნივერსიტეტი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობას არ უმსჯელია აქტივების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. კომპანია გეგმავს შეცვალოს საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ: თვითღირებულების მოდელიდან გადავიდეს რეალური ღირებულების მოდელზე. აღნიშნულ ცვლილებას კომპანია გეგმავს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

სს “აქატი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივი	ჯამი
თვითღირებულება				
1 იანვარი 2017	18,763	5,335	-	24,098
შეძენა	-	-	1,237	1,237
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	18,763	5,335	1,237	25,335
შეძენა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	18,763	5,335	1,237	25,335
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2017	18,351	3,713	-	22,064
წლის ცვეთის დარიცხვა	83	324	186	593
31 დეკემბერი 2017	18,434	4,037	186	22,657
წლის ცვეთის დარიცხვა	66	259	186	511
31 დეკემბერი 2018	18,500	4,296	372	23,168
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2017	412	1,622	-	2,034
31 დეკემბერი 2017	329	1,298	1,051	2,678
31 დეკემბერი 2018	263	1,039	865	2,167

სს „აქატი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული ბანკში	5,298	10,535	1,012
ფული სალაროში	275	130	200
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,573	10,665	1,212

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასაარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მოთხოვნები იჯარიდან	790,457	704,668	597,740
სხვა მოთხოვნები კლიენტების მიმართ	125,018	111,373	94,473
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2,800	1,720	-
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი	(496,136)	(449,768)	(380,717)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	422,139	367,993	311,496

პერიოდის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

უიმედო დავალიანების რეზერვის ბრუნვა	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	449,768	380,717
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	46,368	69,051
გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	496,136	449,768

11. საგადასახადო აქტივები

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია საგადასახადო აქტივი 20,801 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად მოიცავს დღგ-ისა და ქონების გადასახადის თანხებს. 2017 წელს საგადასახადო ვალდებულებები შეადგენდა 990 ლარს.

12. სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 370,817 ლარს (294,767 ცალი ჩვეულებრივი აქცია), რომელშიც ცვლილება (მატება/კლება) არ დაფიქსირებულა კომპანიის დაარსების მომენტიდან.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საიჯარო ვალდებულებები	20,499	7,155	6,615
სხვა ვალდებულებები	14,847	-	13,418
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	2,900	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,246	7,155	20,033

14. მოკლევადიანი სესხები

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია 131,957 ლარით (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 110,660 ლარი). აღნიშნული სესხი კომპანიას მიღებული აქვს ერთ-ერთი მსხვილი აქციონერისგან. სასესხო პირობები დოკუმენტით განსაზღვრული არ არის, არსებობს მხოლოდ ზეპირი შეთანხმება.

15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

სს „აქატი“-ს 2017 წლამდე ფლობდა 30% - იან წილს შ.პ.ს „კლიპსოლ-კონტაქტი“-ს (გაერთიანებული სამეფო, დიდი ბრიტანეთი) კაპიტალში. კომპანია „კლიპსოლ-კონტაქტი“-მა სარეგისტრაციო საქმიანობა შეაჩერა 2017 წლის 15 ივნისს, შესაბამისად 2017 წელს არსებული ინვესტიცია 81,000 ლარის ოდენობით სრულიად ჩამოწერილია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

16. შემოსავალი

კომპანია შემოსავალს იღებს, საინვესტიციო ქონების გაქირავებით, რამაც 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 146,269 ლარი (2017: 238,020 ლარი).

17. მომსახურების ხარჯები

მომსახურების ხარჯები 2018 წელს შეადგენდა 16,294 ლარს, რომელიც მოიცავს აუდიტორული მომსახურებაზე გაწეულს ხარჯებს 11,209 ლარის ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 55,016 ლარი, მათ შორის აუდიტის ხარჯი 5,085 ლარი.

18. საგადასახადო ხარჯი

საგადასახადო ხარჯი მოიცავს ქონების გადასახადს რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენდა 4,997 ლარს (2017: 4,677 ლარი).

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,007 ლარს, რომელიც მოიცავს ბანკის საკომისიოებს, სამეურნეო ხარჯებს, საქველმოქმედო ხარჯებს, სანოტარო მომსახურების ხარჯებს და სხვა. 2017 წელს სხვა საოპერაციო ხარჯების ჯამური ოდენობა განისაზღვრა 102 ლარით.

20. კომუნალური ხარჯები, წმინდა

კომუნალური ხარჯები, წმინდა	2018	2017
კომუნალური ხარჯი	(82,727)	(45,325)
მოიჯარის მიერ ანაზღაურებული კომუნალური ხარჯები	82,521	23,427
სულ კომუნალური ხარჯები, წმინდა	(206)	(21,898)

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნებიდან).

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად კომპანია ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს, უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალ მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი არის მოკლევადიანი. შესაბამისად ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი ლიკვიდურობის პოზიცია ასახავს, მხოლოდ 1 წლიან პერიოდს:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	5,873	10,665	1,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	422,139	367,993	311,496
გაცემული სესხები	-	1,500	1,500
სულ	428,012	380,158	314,208
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გაცემული სესხები	131,957	131,957	110,660
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,546	7,155	20,033
სულ	170,503	139,112	130,693
წმინდა პოზიცია	257,509	241,046	183,515

22. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს : მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

სს „აქატი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

22. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები	2,800	-	-
სხვა დაკავშირებული მხარე	422,139	367,993	311,496
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	918,275	817,761	692,213

სასესხო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქციონერი	(131,957)	(131,957)	(110,660)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(131,957)	(131,957)	(110,660)

შემოსავალი	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარე	141,966	231,018
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	146,269	238,020

სხვა შემოსავალი	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარე	69,858	19,832
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	82,521	23,427

საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარე	(46,368)	(69,051)
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	(46,368)	(69,051)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით, 2018 წელს შეადგინა 10,000 ლარი (2017: 10,750 ლარი).

23. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება იწახება და აღნიშნული კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე არსებითი გავლენა ექნება.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 16 ივლისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „აქატის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ დაგვიკირავეს სს „აქატის“ (შემდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად და 2019 წლის 16 ივლისს გამოვეცით აუდიტორული დასკვნა „*მოსაზრების გამოთქმაზე უარით*“ იმის გამო, რომ ჩვენ ვერ დავადასტურეთ კომპანიის საკუთრებაში არსებული 6 სართულიანი საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულება, ასევე კომპანიას არ მოუხდენია რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაზიფვრა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არც ის მიზეზები განუმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს - 40 - ის შესაბამისად.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად 2019 წლის 16 ივლისს და შესაბამისად, მასში არ არის მოცემული ამ თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგები.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის 23 სექტემბერს მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენი აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 16 ივლისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ რაც ჩვენ გავცეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა „*მოსაზრების გამოთქმაზე უარით*“.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 705 - ის (გადასინჯული) 29 - ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე უარის გამო, ჩვენი აუდიტორული დასკვნა არ შეიცავს სხვა ინფორმაციის აბზაცს. ამავე „ასს - ის“ გ26 პუნქტისა და კანონის მე - 7 მუხლის მე - 10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ვადგენთ წინამდებარე წერილს.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია კომპანიის მიერ წარმოდგენილ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

23 სექტემბერი 2019

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „აქატის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ დაგვიქირავეს სს „აქატის“ (შემდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად და 2019 წლის 16 ივლისს გამოვეცით აუდიტორული დასკვნა „მოსაზრების გამოთქმაზე უარით“ იმის გამო, რომ ჩვენ ვერ დავადასტურეთ კომპანიის საკუთრებაში არსებული 6 სართულიანი საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულება, ასევე კომპანიას არ მოუხდენია რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაშიფვრა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არც ის მიზეზები განუმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს - 40 - ის შესაბამისად.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად 2019 წლის 16 ივლისს და შესაბამისად, მასში არ არის მოცემული ამ თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგები.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის 23 სექტემბრის მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენი აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბრის დასრული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 16 ივლისს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ რაც ჩვენ გავცეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა „მოსაზრების გამოთქმაზე უარით“.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 705 - ის (გადასინჯული) 29 - ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე უარის გამო, ჩვენი აუდიტორული დასკვნა არ შეიცავს სხვა ინფორმაციის აზვას. ამავე „ასს - ის“ გ26 პუნქტისა და კანონის მე - 7 მუხლის მე - 10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ვადგენთ წინამდებარე წერილს.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია კომპანიის მიერ წარმოდგენილ 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით



23 სექტემბერი 2019

Closer to you

სააქციო საზოგადოება „აქატი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

ა) სს „აქატი“ (შემდგომ -საზოგადოება) წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მართალია, საზოგადოების წესდებით, მისი ძირითადი საქმიანობის საგანია სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური გამზომი და გადამამოწმებელი ელექტრონული აპარატების დამზადება და რეალიზაცია, სახალხო მურნეობისათვის სპეცდანიშნულების დამზადება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და რეალიზაცია და ა.შ. თუმცა ფაქტობრივად, ათ წელზე მეტია, რაც სს „აქატი“ აღარ ეწევა რაიმესახის საქმიანობას. მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ჩარგლის ქ 73) იჯარით დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის შედეგად სარგებლის მიღება.

ბ) საზოგადოება მომავალში არ გეგმავს რაიმე სახის ცვლილებების განხორციელებას საქმიანობის კუთხით და შესაბამისად, არც განვითარების გეგმები გააჩნია.

გ) საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალები.

დ) საზოგადოებას არ გააჩნია რაიმე სახის საკრედიტო ხაზი რომელიმე კომერციულ ბანკში, არ გააჩნია განსაკუთრებული ფულადი ნაკადები (გარდა ქონების იჯარით გაცემის საფუძველზე მიღებული სარგებლისა) არ აწარმოებს და რეალიზაციაში არ უშვებს რაიმე სახის საქონელს.

ე) საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 294767 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, რაც დაყოფილია 294767 ცალ ჩოულებრივ აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ოდენობით ლარებში. აქციების საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით. საზოგადოების აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საზოგადოების მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით.:

ა) საერთო კრება- წარმოადგენს საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს. ყოველწლიურად წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით დადგენილის სხვა საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრებები. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წიგნში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზეან საქართველოს ტერიტორიის ნებისმირ სხვა ადგილზე ოცი დღის ვადაში დირექტორის მიერ ბეჭდით ორგანოში განცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით. საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას-მოადგილე. კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელთა სულ ცოტა ნახევარი თუ კრება არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გამოცხადებული ან წარმოდგენილი კაპიტალკვოტის მიუხედავად მაინც გადაწყვეტილება უნარიანია. კრების ძირითად უფლებ მოსილებაში შედის საზოგადოების წესდების ცვლილება, აქციების სავაჭროდ დაშვება, სხვა საზოგადოებასთან შერწყმის საკითხის განსაზღვრა აქციების მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება, აქციონერთა წარმომადგენლების სამეთვალყურეო საბჭოში არჩევა, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება და სხვა.

საზოგადოების აქციონერის ერთადერთ მოვალეობას წარმოადგენს შესატანის განხორციელება. ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას. უზრუნველყოფს ერთ ხმას აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვოს განმარტებები დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს. საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერ(ებ)ს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

ბ) სამეთვალყურეო საბჭო-სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან, რომლებიც საერთო კრების მიერ აირჩევიან ოთხი წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩავს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თავმჯდომარე იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს სულ მცირე რვა დღით ადრე სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით. საზოგადოების წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

შესაძლებელია იყოს ამავედროს საზოგადოების დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს საზოგადოების წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას. ნიშნავს და გამოიწვევს დირექტორს. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა: სხვა საწარმოს ნებისმიერი ოდენობის წილის შეძენა და გასხვისება. ფილიალის დაარსება და ლიკვიდაცია. წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება. ახალი ეკონომიკური საქმიანობის დაწყება. და არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა.

სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა

საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება: საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას

დირექტორატი - საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება დირექტორ(ებ)ს საზოგადოებას ჰყავს ერთი დირექტორი.

რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას.

სს „აქატი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი არის მოკლევადიანი. შესაბამისად ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი ლიკვიდურობის პოზიცია ასახავს, მხოლოდ 1 წლიან პერიოდს:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	5,873	10,665	1,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	422,139	367,993	311,496
გაცემული სესხები	-	1,500	1,500
სულ	428,012	380,158	314,208
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გაცემული სესხები	131,957	131,957	110,660
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,546	7,155	20,033
სულ	170,503	139,112	130,693
წმინდა პოზიცია	257,509	241,046	183,515

ლენა ბარამიძე

სააქციო საზოგადოება „აქატი“-ს დირექტორი:

23 სექტემბერი, 2019

სს „აქატი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი არის მოკლევადიანი. შესაბამისად ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილი ლიკვიდურობის პოზიცია ასახავს, მხოლოდ 1 წლიან პერიოდს:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	5,873	10,665	1,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	422,139	367,993	311,496
გაცემულისესხები	-	1,500	1,500
სულ	428,012	380,158	314,208
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გაცემული სესხები	131,957	131,957	110,660
სავაჭროდასახვავალდებულებები	38,546	7,155	20,033
სულ	170,503	139,112	130,693
წმინდაპოზიცია	257,509	241,046	183,515

ლენა ბარამიძე

სააქციო საზოგადოება „აქატი“-ს დირექტორი:



23 სექტემბერი, 2019